ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

1. გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება წერილობითი სახით (გამოცდა შეფასდება 100 ბალიანი სისტემით).

2. საგამოცდო ბილეთი შეიცავს 4 საკითხს (თითოეული მოდულიდან თითო საკითხი), რომლებსაც მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველმა უნდა უპასუხოს წერილობით.

3. თითოეული საკითხის პასუხი შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით.

4. წერითი გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი.

საგამოცდო საკითხები ქართულ ლიტერატურაში

ძველი ქართული ლიტერატურა

1. ქართული აგიოგრაფია (“აბო თბილელის წამება”)
2. ქართული აგიოგრაფია (ექვთიმესა და იოანეს ცხოვრება)
3. მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები
4. ქართული ჰიმნოგრაფია
5. საერო მწერლობა (“ამირანდარეჯანიანი”)
6. “ვისრამიანი” და მისი ქართული თარგმანი
7. “ვეფხისტყაოსნის” ტექსტოლოგიური პრობლემატიკა
8. სიყვარულის კონცეფცია “ვეფხისტყაოსანში”
9. “ვეფხისტყაოსანი” შექსპირის ეპოქის ინგლისში
10. ანტიკური ფილოსოფიის კვალი ვეფხისტყაოსანში
11. ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა
12. სულხან-საბა ორბელიანი
13. დავით გურამიშვილის პოეზია
14. დავით გურამიშვილი (ქართლის ჭირი)
15. აღორძინების ხანის დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი (არჩილ მეფე, სულხან-საბა, დ. გურამიშვილი)

ახალი ქართული ლიტერატურა

1. ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები
2. გრ. ორბელიანის პოემა « სადღეგრძელო » (შექმნის ისტორია ჟანრობრივი თავისებურება, თემატიკა, მხატვრული მხარე)
3. საქართველოს წარსული გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში (ლექსები « იარალის » « თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში » პოემა « სადღეგრძელო »)

4. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის ძირითადი მოტივები.
5. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში (პოემა « ბედი ქართლისა », ლექსი « საფლავი მეფის ირაკლისა »)
6. სიცოცხლის აზრის საკითხი ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი)
7. ბუნება გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში
8. ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები (თემატიკა, მხატვრული მხარე)
9. ასკეტიზმის პრობლემა და ილია ჭავჭავაძის პოემა « განდეგილი »
10. წოდებათა ურთიერთობის საკითხი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პროზაში (მოთხრობები « გლახის ნაამბობი » და « ოთარაანთ ქვრივი »)
11. ილია ჭავჭავაძის პროზის პერსონაჟების დახასიათება (ილიას პერსონაჟები როგორც მხატვრული ტიპები)
12. ისტორიული თემა აკაკი წერეთლის ეპიკურ პოეზიაში (“თორნიკე ერისთავი”, “ნათელა”)
13. აკაკი წერეთლის მოთხრობა “ბაში-აჩუკი” (თემატური დახასიათება, პერსონაჟები, მხატვრული მხარე ”ბაში-აჩუკის” პოეტურობის შესახებ)
14. ალ. ყაზბეგის “ელგუჯა” (თხზულებაში განსახიერებული დრო, თემა, მხატვრული მხარე)
15. ალ. ყაზბეგის “ხევისბერი გოჩა” (თემატიკური დახასიათება, მხატვრული მხარე)
16. საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (პოემების “ალუდა ქეთელაურისა” და “სტუმარ-მასპინძლის” მიხედვით)
17. ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ (თემა, პერსონაჟები, მხატვრული მხარე)
18. ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელი“ (პრობლემატიკა, მხატვრული მხარე)
19. დავით კლდიაშვილის იუმორი
20. “შემოდგომის აზნაურთა” სახეები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში

უახლესი ქართული ლიტერატურა

1. XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლიტერატურული სკოლები
2. მოდერნიზმი ქართულ მწერლობაში
3. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული გაერთიანება
4. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა
5. ისტორიული თემატიკა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში
6. პიროვნების გაუცხოების პრობლემა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში
7. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა
8. პერსონაჟი და ეპოქა მიხეილ ჯავახიშვილის რომანების მიხედვით
9. „ზედმეტი ადამიანი“ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების მიხედვით
10. გაუცხოებული გმირი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში
11. ადამიანური დრამა ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებების მიხედვით
12. პიროვნების გაუცხოების პრობლემა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

ფოლკლორი

1. ფოლკლორის რაობა; ფოლკლორული შემოქმედების თავისებურება და სპეციფიკური ნიშნები.
2. ფოლკლორისტიკა და მისი მოსაზღვრე დისციპლინები.
3. ფოლკლორი და ქართული ლიტერატურა.
4. მითოსი. მითი, მითოლოგია, მითოლოგემა.
5. ფარნავაზისა და თამარის მითოსი
6. კულტის დაარსების მითოსი; ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლები.
7. ეპოსი. საგმირო ეპოსი „ამირანიანი“ (ტექსტის კომპოზიცია, ეპიკური გმირის თავგადასვლის ეპიზოდები), განსხვავებები ვარიანტების მიხედვით.
8. საისტორიო ეპოსი „არსენას ლექსი“, მისი მიმართება ტრადიციულ საგმირო ეპოსთან.
9. სამიჯნურო ეპოსი „ეთერიანი“, ტექსტის სტრუქტურა და მიმართება ჯადოსნურ ზღაპართან. ვარიანტთა წრეები.
10. ზღაპარი. ჯადოსნური ზღაპარი, მისი კომპოზიცია, პერსონაჟთა ფუნქციები, ზღაპრის დასაწყისი და დასასრული.
11. ცხოველთა ეპოსი. პერსონაჟები, იგავი და ცხოველთა ზღაპარი. კუმულაციური ზღაპარი.
12. საყოფიერო ზღაპარი (ხალხური ნოველა). მთავარ გმირთა ტიპები. საყოფიერო ზღაპრისა და ჯადოსნური ზღაპრის გმირთა შედარება.
13. საწესჩვეულებო პოეზია, მისი კლასიფიკაცია. კალენდარული და არაკალენდარული წეს-ჩვეულებები და მათი თანმხლები ტექსტები.
14. მაგიური პოეზია. შელოცვის ფუნქცია და ტექსტუალური თავისებურებანი.
15. ბალადა, ბალადის ჯგუფები. ბალადის კომპოზიცია, მთავარი გმირი. ბალადის კომპოზიცია და პოეტური თავისებურება.
16. თქმულება, მისი ძირითადი მახასიათებლები, თქმულების ჯგუფები შინაარსის მიხედვით.
17. მცირე ფორმის ნაწარმოებები. ანდაზა, გამოცანა, სიტყვის მასალა, მათი პოეტიკა.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფ. ელგუჯა ხინთიბიძეს.
khintibidze@yahoo.com
elguja.khintibidze@tsu.ge